


# ახალი კორონავირუსი (COVID-19)



## რა არის COVID-19?

COVID-19 არის კორონავირუსების ახალი შტამი, რომლის ადამიანთა შორის გავრცელება, პირველად, 2019 წელს ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში დაფიქსირდა. ჯანმრთელობის ექსპერტების შემოწმებებს ინვესს ახალი ვირუსის შესახებ მწირი ინფორმაცია და ის ფაქტი, რომ მას აქვს პოტენციური გამოიწვიოს მძიმე დაავადება და ზოგიერთ შემთხვევაში პნევმონია



## ვინ იმყოფება მაღალი რისკის ქვეშ?

განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან 60 წლის ან უფროსი ასაკის, ასევე ქრონიკული დაავადებების მქონე პირები (გულ-სისხლძარღვთა და ქრონიკული რესპირაციული დაავადებები, დიაბეტი და სხვა). ასევე პირები, ვისაც მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ COVID-19-ის შესაძლო ან დადასტურებულ შემთხვევასთან, საჭიროა დარჩნენ იზოლაციაში 14 დღის განმავლობაში და რესპირაციული სიმპტომების გამოვლენისთანავე, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ სამედიცინო დაწესებულებას ან 112

ახალი კორონავირუსის დიაგნოზის მქონე პაციენტებს, ვირუსთან ექსპოზიციის შემდგომ, სიმპტომები გამოუვლინდათ 2 დან 14 დღეში

## როგორ ვრცელდება ახალი კორონავირუსი?



ნვეთოვანი გზით: ხველით, ცემინებით



თვალებზე, პირზე და ცხვირზე, დაუბანელი ხელის შეხებით



დაავადებულებთან მჭიდრო კონტაქტით- შეხება, ხელის ჩამორთმევა



იშვიათ შემთხვევაში ფეკალიებთან კონტაქტით

## რა არის COVID-19-ის სიმპტომები?

COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ რესპირაციული დაავადებების სიმპტომები, როგორცაა:



ცხელება



ხველა



სუნთქვის გაძნელება




მძიმე დაავადება

## როგორ დაიცვათ თავი COVID-19-ისგან?

COVID-19-ისგან თავის დასაცავად საჭიროა მიყვით გრიპისა და სხვა რესპირაციული დაავადებების პრევენციის ზოგად რეკომენდაციებს:

- ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით არანაკლებ 20 წამის განმავლობაში ან გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხსნარი.
- ნუ შეეხებით თვალებს, ცხვირსა და პირს დაუბანელი ხელით;
- მოერიდეთ მჭიდრო კონტაქტს დაავადებულ ადამიანთან
- ხველისა და ცემინებისას აიფარეთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი
- მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს და დაიცავით სულ მცირე 1 მეტრიანი დისტანცია

**გახსოვდეთ!** ნიღბის ტარება აუცილებელია საზოგადოებრივი თავშეყრის დახურულ ადგილებსა და ტრანსპორტში



მეტი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ: [StopCoV.ge](http://StopCoV.ge); [moh.gov.ge](http://moh.gov.ge);

[ncdc.ge](http://ncdc.ge) ან [facebook.com/ncdcgeorgia](https://facebook.com/ncdcgeorgia) ან დარეკეთ ცხელი ხაზის ნომერზე **144; 15 05; 116 001**



საქართველოს ოპორტუნისტული ტაქტიკური პოლიტიკის დანერგვა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი  
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH